(არაოფიციალური თარგმანი)

იაპონიის დახმარება უკრაინას

24 მარტი, 2014

უკრაინაში შექმნილ ამჟამინდელ სიტუაციაზე დაყრდნობით, <u>იაპონია უკრაინას დახმარების სახით გამოუყოფს 150 მილიარდ იაპონურ იენს (დაახლოებით 1,5 მილიარდი ა.შ.შ. დოლარი).</u>

- ოფიციალური განვითარების დახმარება უკრაინის მთავრობის მიერ ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად

• ფისკალური კონსოლიდაციის განვითარების პოლიტიკის სესხი, როგორც მსოფლიო ბანკის პარალელური სესხი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ განხორციელებული საერთაშორისო დახმარების ფარგლებში, იაპონია, მსოფლიო ბანკის კოორდინირებით, გამოჰყოფს ფულად სახსრებს უკრაინის ეკონომიკური რეფორმის განსახორციელებლად. იაპონიის მიერ გამოყოფილი თანხა შეადგენს 10 მილიარდ იაპონურ იენამდე (დაახლოებით 0,1 მილიარდი ა.შ.შ. დოლარი), რადგან ფისკალური კონსოლიდაციის განვითარების სასესხო პოლიტიკა შემუშავდა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძალისხმევით.

• ქალაქ კიევის ბორტნიჩის საჰაერო-სავენტილაციო სადგურის მოდერნიზაცია

კიევის მოქალაქეებისათვის ჰიგიენური და საცხოვრებელი გარემოს გადაუდებელი საჭიროებისათვის გასაუმჯობესებლად იაპონია გამოჰყოფს ოფიციალური განვითარების (ODA) ფარგლებში სესხს, ჯამში 110 მილიარდი იაპონური იენის ოდენობით (დაახლოებით 1,1 მილიარდი ა.შ.შ. დოლარი) უკრაინის მთავრობის მიერ ბორტნიჩის საჰაერო-სავენტილაციო სადგურის მოდერნიზაციისათვის.

- ნიპონ ექსპორტი და საინვესტიციო დაზღვევის (NEXI)-ს საკრედიტო ხაზი სავაჭრო დაზღვევისათვის

ნიპონ ექსპორტი და საინვესტიციო დაზღვევა გააგრძელებს პასუხისმგებლობის აღებას 2 წლის განმავლობაში მოკლევადიანი სავაჭრო დაზღვევის

განსახორციელებლად და შექმნის საკრედიტო ხაზს 30 მილიარდი იენის (დაახლოებით 0,3 მილიარდი ა.შ.შ. დოლარი) ოდენობით საქონლის იმპორტისა და სერვისების მხარდასაჭერად, რაც უკრაინელი ხალხის ცხოვრების სტაბილიზაციისთვის არის საჭირო.

- არასაპროექტო საგრანტო დახმარება

არასაპროექტო საგრანტო დახმარების ფარგლებში დაახლოებით 350 მილიარდი იაპონური იენი (დაახლოებით 3.5 მილიარდი ა.შ.შ. დოლარი) გამოეყოფა დახმარების სახით უკრაინის მთავრობას სამედიცინო პრეპარატებისა და სხვა აღჭურვილობის შესაძენად.

- ტექნიკური დახმარება იაპონიის რეკონსტრუქციებისა და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) თანამშრომლობის ფონდისა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) სატრეინინგო პროგრამებისგან

ტექნიკური დახმარება განხორციელდება უკრაინის საჭიროებებისდა მიხედვით მაკრო ეკონომიკის, ენერგეტიკის და კერძო სექტორის განსავითარებლად იაპონიის რეკონსტრუქციებისა და განვითარების ევროპული ბანკისა (EBRD) და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) მიერ.